კვირა, 1917 წ. ენკენისთვის 10 (23)

წელიწადი მესამე

ფასი 15 კაპ.

# საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მას შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) [illegible] № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

№ 199 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 199

**ქართული კლუბის ბალი**

კვირას, 10 სექტემბერს 1917 წ.

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის სასარგებლოდ გაიმართება

**დიდი სახალხო**

**სეირნობა ლატარია-ალეგრით**

1—763—1

გასართობები ბავშვებისა და დიდებისათვის:

პტი-შვო, ბედნიერების კლდე, დედოფალა, ყვავილები, ფოსტა, რგოლების სროლა, ბედნიერების ბოჭკა, ტუმბო, საბავშვო გასართობები, კიოსკები, ამერიკული აუქციონი და სხ.

სამხედრო მუსიკა.

დასაწყისი დღის 2 საათზე

შესასვლელი გადასახადი:

დიდებისთვის ერთი მანეთი, მოწაფეთა და პატარებისთვის ათი შაური.

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

ჯარის რეფორმები დაიწყო. ითხოვენ მთავარბანაკის ყველა უფროსებს.

ზურგის სამხედრო ორგანიზაციების შემადგენლობას ერთმესამედით ამცირებენ.

„მენშევიკ—ობორონცები“-ს აზრით, კოალიციის უარყოფა რუსეთს დაჰღუპავს, სოციალისტური სამინისტრო კონტრრევოლუციურ ძალებს დარაზმავს.

სოციალისტ-რევოლუციონერი ავქსენტიევი კოალიციის მომხრეა.

დაარსდა სამინისტროს ეროვნული განყოფილება.

ნოვოჩერკასის მეციხოვნენი კალედინს სრულ ნდობას უცხადებენ.

ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი სტახოვიჩი გადადგა.

ინგლისელებმა საფრანგეთის ფრონტზე შეტევა დაიწყეს.

გერმანელებს მინსკის ფრონტის გარღვევა განუზრახავთ.

კავკასიის ფრონტზე საშინელი ქარბუქია.

მოსკოვის საეკლესიო კრება კავკასიის რუს მართლ-მორწმუნეთა დაცვას მოითხოვს.

პროფესორ ნოლდეს თავმჯდომარეობით საქართველოს ეკლესიის საგანგებო კომისია დაარსდა.

### წერილები

**მეთაური.** დემოკრატიული თათბირი და ერები.

**ლ. ჯაფარიძე.** კოალიცია თუ სოციალისტური დიქტატურა.

**დ. ვეძრებისელი.** ჩემი დღიური.

**კორესპოდენცია.** დუშეთიდან.

ქალაქის საბჭოს სხდომა.

საქართველოს ეკლესიის ორგანიზაცია.

ქვრივი ოთარის ასული, ნინო, თამარი და ეკატერინე ხიმონის ასულნი ფანიაშვილები, ვლადიმერ ხვიმონის ძე ფანიაშვილი თავის მეუღლით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველის დაუვიწყარ და ძვირფას ქმრის და მეორეთა მამის აწ გარდაცვალებულისა

**ს. ან. ფანიაშვილისა**

(ფანიევი)

ორმოცის წირვა და პანაშვიდის გადახდას 11 ამ თვეს წმ. ნიკოლოზის ეკლ. დილის 10 საათზე.

1—778—1

ექიმი

**მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოლღის ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი

**ე. ლ. შალამბერიძე**

იღებს სხივით და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

## დროებით მთავრობისაგან.

# თავისუფლების სესხზე

ხელის მოწერამ უკვე ხამ მილიარდ მანეთზე მეტი მოგვიტანა. იგი აღემატება ძველ სამხედრო სესხებს (პირველ სესხმა 1916 წ. მოგვცა $1^1/_2$ მილიარდი მან. და მე-2-ემ 1916 წ. $1_{,6}$ მილიარდი). დროებით მთავრობის მხურვალე მოწოდებას სგულგრილად არ შეჰგებებიან. მცხოვრებთა ფართე წრეები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოქალაქობრივ მოვალეობას და შემოსავლის მტკიცე წყაროში ინახავენ. საჭიროა კიდევ ბევრი მილიარდი, რომ ერის ერთნების ყოფამ მომავალ დამფუძნებელ კრებაზე თავისუფალ რუსეთის ძმობისა და თანასწორობის ნიადაგზე აშენება შესძლოს. დროებით მთავრობას იმედი აქვს, რომ თავისუფალი ერი გაორმაგებულ ძალით მიაწვდის სახელმწიფოს თავის წვლილს, რის გამოც დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა განაგრძოს თავისუფლების სესხზე ხელის მოწერა

## მომავალ დამფუძნებელ კრებამდე.

გაზეთ „საქართველოს“

**კონტორისაგან**

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ,

გაზეთის თითო ნომერი ღირს 15 კაპ.

წლიური ხელის მომწერლებმა ხელის მოწერის ფასი უნდა შეასრულონ 21 მანეთად, რომელიც უნდა გადახდილ იყოს 15 სექტემბრამდე. ვინც ამ ხნის განმავლობაში ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოესპობა. 1 ენკენისთვიდან გაზეთის ფასი იქნება თვეში 3 მან.

ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ვთხოვთ ფულის გამოგზავნის დროს ბანდეროლის ნომრის აღნიშვნას.

**სამუსიკო სასწავლებელი თბილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა**

(სლეპცოვის ქუჩა № 4)

მასწავლებელთა შემადგენლობა: როიალის კლასისა—აბელაშვილი ე. დ. ალეინიკოვა ვ. ვ., ანდრონიკაშვილი-ვასილიევისა მ. გ., კალაშნიკოვა ნ. ვ., ქიქოძე ე. გ., პოლტორაცკაია-მაღალთოვისა ე. ი., ფოგელი ე. ვ., ვიოლინოსა—ვასილიევი მ. ც., ტიზენგაუზენი პ. ა., სიმღერის (solo)—კირილოვა გ. ი., კოლოტოვისა მ. ა., ვიოლონჩელისა—კოპელნიცკი ე. ნ., კონტრაბასისა—პინსკი მ. დ. და თეორიული კლასებისა—ზ. პ. ფალიაშვილი.

სწავლის გადასახადი—როიალის, ვიოლინოს, ვიოლონჩელის კლასებში—110 მანეთი, სიმღერის—150 მ., კონტარბასის—75 მ., თეორიულ კლასებში— 50 მან. მოწაფეთა მიღება სწარმოებს 25 აგვისტოდან ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 10—2-მდე და საღამ. 5—7-დე.

სწავლის დასაწყისი 4 სექტემბერს. 1—745—1

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.

გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—13

ექიმი

**გ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ. № 36, მეორე სართული.

ექიმი

**გ. მ. მუხაძე**

იღებს ხალხსაქართ ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი [illegible]. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

**მ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19

ექიმი

**ა. დ. კეკელია**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116. (თ—703—18)

ექიმი ქალისა

**ე. ივ. გალარჯიშვილი-მათეშვილისა**

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

**ვ. ი. მარნაძე**

[illegible] ქ. № 4.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

ექიმის თანაშემწე

**ვანო საათაშვილი**

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

15—748—თ.

### თბილისი, ენკენისთვის 10.

## დემოკრატიული თათბირი და ერები

დემოკრატიული რუსეთის აზროვნება სავსებით ვერ დაჰხწევია თვითმპყრობელობის მეთოდის ზეგავლენას. ყოველს შემთხვევაში ბევრ მის მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო აქტებს ნათლად ემჩნევა ბიუროკრატიული დაღი. დიდი და განუყოფელი რუსეთის იდეა იმ შინაარსით, როგორიც მას უძღვნა პეტრე სტრუვემ, დღესაც ასულდგმულებს რუსეთის სახელმწიფოებრივ შემოქმედებას; რევოლუციის მსვლელობის უკიდურესობამდე მიყვანამაც არ უშველა ამ იდეის განახლებას და თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებასთან შეფარდებას.

უკანასკნელი მთავრობის აქტი, რომელიც კორნილოვის აჯანყების მოსპობის შემდეგ გამოცხადდა, აღიარებს მთავრობის მოქმედების უახლოეს მიზნებს და სხვათა შორის გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ფინლიანდიის და უკრაინის ეროვნულ უფლებების გაფართოვება დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს თანახმად ამ ერთა მიერ გამომოთქმულ სურვილებისა.

სხვა ერთა არამც თუ მოთხოვნილებაზე, თვით არსებობაზედაც არაფერს ამბობს რევოლუციურ მთავრობის მანიფესტი, თითქოს რუსეთის სახელმწიფოს საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ გაიმიჯნოს რუსფინეთ-უკრაინის ინტერესები.

რუსეთის დესპოტიურ წყობილებას ახასიათებდა ერთი ახირებული თვისება, რომელიც ალეგორიულად გამოიხატება იმაში, რომ იგი პირ-ჯვარს მუდამ ქუხილის შემდეგ ისახავდა. მოკლებული ჭეშმარიტ სახელმწიფო მართველობის უნარს, თვითმპყრობელობას ნიჭიც არ შესწევდა, რომ ცოცხალი მაგალითებით მაინც ესარგებლა, რომ ცხოვრების განვითარების მიხედვით მოეწყო მართვა-გამგეობის საქმე და მოთხოვნილებანი წინადასწრებით დაეკმაყოფილებინა ისე, როგორც ამას ჩვეულ არის, მაგალითად, ინგლისის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა.

ჩვენ გვაქვს საბაბი რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების პირველშობილი ცოდვა მივანიჭოთ უადრესად რევოლუციურ და დემოკრატიულ მთავრობასაც. მართლაც, დამაფიქრებელია, რომ რევოლუციის დაწყებიდანვე გამოგვაყრუეს ერთა თვითგამორკვევის უცილობელ საჭიროების ძახილით, მაგრამ დღემდე ოდნავაც არ გაკეთებულა რამ ამ პრინციპის განხორციელებისათვის! პირიქით, დღითი-დღე ვრწმუნდებით, რომ ცენტრალისტურ ჯადოსნურ წრეში ისე მაგრად გაჰბმია რუს ხალხის აზროვნება, რომ იგი თავისით ვერ დაიხსნება მას. საჭირო იყო ფინლიანდია-უკრაინის ფრიად გარკვეული გამოსვლა, რომ მთავრობას გამოეცხადებინა ამ ხალხის უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესება.

რანაირი ფართო რეფორმებიც უნდა შემოიღონ რუსეთში, თუნდაც რომ უკიდურესი რადიკალური ხასიათი მისცენ სახელმწიფო ცხოვრების გამოსახულობას და სოციალური გარდაქმნაც მოახდინონ, რუსეთის აქაფებული ზღვა ისევ დაუცხრომლად იღელვებს, უკეთუ ეროვნული საკითხი დაუკმაყოფილებელი დარჩა და რუსეთში მოსახლე მრავალჯერ ერთა მისწრაფებანი ძველებურად ათქვეფილი იქმნება ველიკოროსთა უპირველესობაში!

ამ დღეებში პეტროგრადში შესდგება დემოკრატიული თათბირი, რომელმაც ასე თუ ისე უნდა მოაწყოს რუსეთის სახელმწიფო მმართველობა... ამ ყრილობაზე წარსდგებიან ქართველი ერის წარმომადგენლებიც, რომელნიც კიდევ ერთხელ ამცნობენ რუსეთის სახელმწიფოს დღევანდელ მესაჭეთ საქართველოს უფლების აღდგენის აუცილებლობას.

მოსკოვის თათბირზე გაძახილი ქართველის ხმა დიდ თეატრის დარბაზის კედლებშივე ჩაკვდა: ხელმწიფების მქონე ხალხი მას არ გამოეხმაურა! ვნახოთ რა პასუხს მოგვცემს რევოლიუციურ-დემოკრატიული კრება...

ეროვნულ საკითხის მოწესრიგება რუსეთის სახელმწიფოს „გორდიის კვანძათ“ შეიქმნა! ნუთუ ახალი მაკედონელი უნდა მოგვევლინოს, რომ ეს ათასნაირად გადახლართული კვანძი გამოშალოს? აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული მთავრობა მხოლოდ რევოლიუციის მეშვიდე თვეზე გრძნობს მოვალეობას ყურადღება მიაქციოს ერთა მოთხოვნილებას! დეპეშების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსდება საგანგებო ეროვნუ

ლი განყოფილება, სადაც უნდა შეისწავლონ ეროვნული საკითხის მასალები და რომელსაც მიზნად დაუსახავს საერთო სახელმწიფო მთავრობის და თვითეულ ეროვნებათა დამოკიდებულების მოწესრიგება. როგორც ხედავთ, კიდევ პროექტების ხანაში ვიმყოფებით. რევოლიუციურ მთავრობის პირველი გაბედული ნაბიჯი ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში მხოლოდ მასალების შესწავლაში გამოიხატება!

# კოალიცია თუ სოციალისტური დიქტატურა

იმ გზა ხვეულებში, რომელთა გავლა მოუხდა რუსეთის რევოლუციას მარჯვნივ და მარცხნივ დაქანებაში, დღევანდელი სადგური ყველაზედ საშიში და მარცხიანია.

ძნელად გადასაწყვეტი არჩევანი წინ აღუდგა მთავრობას, არჩევანი, რომელშიდაც იგი კადეტებმა ჩააგდეს: ან კადეტების დათხოვა და მით მთელი ზომიერი რუსეთის ჩამოშორება, ან მათთან თანამშრომლობა და მით მთელი სარევოლუციო დემოკრატიის უარყოფა.

მარჯვნით კონტრ-რევოლუცია, მარცხნით სოციალური რევოლუცია—ორი გზა და ორი ხრამი;

არჩევანია იმდენად, რამდენადაც ორ სასიკვდილო გზაში, უადვილესის არჩევაა შესაძლებელი.

დროებითმა მთავრობამ ვერცერთისათვის ვერ გაიწირა თავი და უკანასკნელი სიტყვის თქმა ისევ დემოკრატიულ რუსეთს მიანდო, რომელმაც 12 ენკენისთვეს უნდა გადასწყვიტოს ბედი რუსეთის მართველობისა.

რუსეთის დემოკრატიის პასუხისმგებელმა ორგანოებმა მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებმა უარყვეს ის ძველი გზა, რომელზედაც ერთად ვიდოდენ მრეწველი და მუშა, გლეხი და აზნაური და კოალიციის შეუძლებლობა აღიარეს.

რუსეთის დემოკრატიაში თანდათან ძლიერდება ის ლოზუნგი, რომელიც აქამდე მხოლოდ მის უკიდურესის და უმცირესის ნაწილის დროშას ეწერა და დემოკრატიის და, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, პროლეტარიატის დიქტატურას რომ ითხოვდა, მაგრამ დემოკრატიის გონიერი ნაწილი იდგა უფრო სწორ სახელმწიფოებრივ ნიადაგზე, რომელიც ძალთა შეთანხმებულ მუშაობის აუცილებლობას ითხოვს.

რევოლუციის საწინააღმდეგო მუქარამ დემოკრატიაში გააძლიერა უწინ დაგმობილი ძახილი ძალთა გათიშვისაკენ რომ ითხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ მუქარებს უფრო უნდა შეედუღებია ეს ძალები საწინააღმდეგოდ. ახსნა ერთია: სოციალისტური დემოკრატია დარწმუნდა, რომ მის გარდა სხვა ყველა რევოლუციის წინააღმდეგ აღხედრდა და მაშინ მართალია სკობელევის სიტყვა, რომ ამის დაჯერება „რევოლუციის აგონიას ნიშნავსო". სოციალისტური დემოკრატია რუსეთის უმცირესობას წარმოადგენს და თუ უმრავლესობა ამხედრდა მის წინააღმდეგ ძალთა ხანწყობილებამ ვინ იცის საქმე როგორ გადასწყვიტოს? მაგრამ რევოლუციას ჯერ საზოგადოების ეს ნაწილი არ ჩამოჰშორებია, მაგრამ შესაძლებელია ჩამოშორდეს, თუ სამთავრობო ძალა-უფლება სავსებით წაართვეს და საბჭოებმა ხელთ იგდეს.

სოციალისტური დემოკრატიის რამოდენიმე მიმართულება „მენშევიკები-ობორონცები" სკობელევთან ერთად და სოციალისტ-რევოლუციონერთა ერთი ფრთა აქსენტიევის მეთაურობით კოალიციის დაცვას ერთად ერთ საშუალება სთვლის დღესაც, რომ რუსეთი დაღუპვისაგან იხსნან. მეორე ნაწილი შეუძლებლად სცნობს ამას და დემოკრატიის აქტიურ გამოსვლას ითხოვს სამთავრობო ასპარეზზედ. ამ იდეათა ბრძოლის ქვეშ უნდა გაიაროს ამ დემოკრატიულმა თათბირმა, რომელმაც უნდა მიანიჭოს რუსეთს რევოლუციის დამხსნელი მთავრობა.

შესაძლებელია კოალიცია არ იყოს ერთად ერთი საშუალება დღევანდელ რუსეთის წესიერ გზაზედ მომართვისათვის, მაგრამ ეს არის ერთად ერთი გონიერი სახელმწიფოებრივი გზა და რევოლუციისათვის სასარგებლოდ შემაკავშირებული იმ ძალთა, რომელნიც სულ გათიშვისაკენ ილტვიან და ერთმანეთის წინააღმდეგოთ რომ იმართებიან.

მაგრამ კოალიციის იდეა არ საზღვრავს მხოლოდ სამინისტროში სხვა და სხვა მიმართულებათა წარმომადგენლების მოწვევას.

კოალიციური მთავრობა მტკიცეა მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებაშიც მტკიცეა ეს კოალიცია და ერთი ჯგუფი არ ფლობს მეორის ნებას. ამისთვის ყველგან სადაც წარმოდგენილია ინტერესები სხვა და სხვა ერთა და კლასთა უნდა განხორციელდეს ის იდეა, რომელიც მთავრობას დაედება საფუძვლად. ესეთივე წესით უნდა მოეწყოს კავკასიის უმაღლესი მართველობაც, რომელშიდაც თანაბრად უნდა იყოს დაცული ერთა და კლასთა წარმომადგენლების პრინციპი, რომ საერთო თანამშრომლობამ უფრო გაადვილოს კავკასიის მართველობის სიძნელე და ერნი და კლასნი, რომელნიც თუ ერთსულოვნად რევოლუციის საიმედო დარაჯათ ითვლებიან, თანაბრად იყვნენ დაინტერესებული მისი მსვლელობით.

ლ. ჯაფარიძე.

# რუსეთის რესპუბლიკა

## დეპეშები

### გადასახადების გადიდება

პეტროგრადი. ენკენისთვის 5. 1913 წლის, თიბათვის 4 ს კანონით გადასახადები და ბაჟები 1918 წლის პირველ იანვრამდის არის გადიდებული. ეხლა ფინანსების მინისტრი მოითხოვს, რომ ეს ვადა გადადონ.

### საქალაქო ბანკი.

პეტროგრადი. ენკენისთვის 5. ფინანსების სამინისტრომ დროებით მთავრობას საქალაქო ბანკის და საერობო მომხმარებელ საზოგადოების დაარსების პროექტი წარუდგინა. ახალი ბანკი დაეხმარება სესხით ქალაქებსა და ერობებს. ამასთან იგი დიდხნობითაც ანდობს სესხს.

### ფარმაცევტების გაფიცვა

ასტრახანი. ენკენისთვის 5. ფარმაცევტების გაფიცვის გამო ქალაქში ყველა აფთიაქი დაიკეტა. გაფიცვა ფარმაცევტების ეკონომიურ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებამ გამოიწვია.

### თვითგასამართლება

ასტრახანი. ენკენისთვის 6. ენოტაევის მაზრიდან. ხალხს თვითგასამართლებია მცარცველები სოფელ ბაკუნინის მღვდლის ოჯახობის მკვლელები. მერვე წევრი ბრბოსი გამოსაძიებლად ცოცხალი გადაურჩენიათ.

### მეთევზეთა კოოპერატივი

ოდესა. ენკენისთვის 6. არსდება შავ ზღვის და აზოვის მეთევზეთა ახლად შემდგარ კოოპერატივის მმართველობა. მმართველობა თვით ააშენებს შენობებს თევზის ბოლში გამოსაყვანად, დასამარილებლად და საკონსერვოდ.

### კვერცხის ფასი

პეტროგრადი. ენკენისთვის 6. სასურსათო საქმეთა სამინისტრომ აცნობა ყველა სასურსათო კომიტეტებს, რომ კვერცხზე შემოღებულია მტკიცე ფასები რაიონების მიხედვით.

### სასმელების მოსპობა

პეტროგრადი. ენკენისთვის 6. დროებითმა მთავრობამ საჭიროდ სცნო საარყე ქარხნებში შენახულ არყისგან გაკეთებულ სხვა და სხვა სასმელების სპირტისა და ბაქმაზის ლიკვიდაცია. განზრახული აქვთ მათი ძმარად გადაკეთება.

### საფრანგეთი რესპუბლიკის შესახებ

პარიზი. ენკენისთვის 5. ყველა პარტიის გაზეთები სალამს უძღვნიან რუსეთის რესპუბლიკას და აღნიშნავენ, რომ ის დაბრკოლებანი, რომელთაც ესე თავგამოდებით ებრძვის კერენსკი, ჯერ კიდევ დაუძლეველნი არიან. ახალ რეჟიმს ემუქრებიან, როგორც უკიდურესი მემარცხენენი, ისე რეაქცია. გაზეთები მოუწოდებენ რუსის ერს მტკიცედ გაერთიანებას ახალ რეჟიმის სახსნელად და გარეშე მტრის მოსაგერიებლად.

### კადეტები პეტროგრადის თათბირში არ მონაწილეობენ

მოსკოვი. ენკენისთვის 6. ხალხის თავისუფლების პარტიის ცენტრალ კომიტეტმა დაადგინა მონაწილეობა არ მიიღოს დემოკრატიულ თათბირში ვინაიდან იგი მხოლოდ ერთ პოლიტიკურ მიმართულებას ხატავს. კადეტების აზრით თათბირის სამშობლოს რწმუნებულ ორგანოდ გამოცხადებაც არ შეიძლება.

# ჯარის რეფორმა

პეტროგრადი. ენკენისთვის. 7 ჯარისკაცთა და მუშათა ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის დღევანდელს კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო მინისტრმა ჯარების რეფორმის შესახებ. უმთავრესი დანიშნულება ისაა, რომ შეერთებული სამხედრო ძლიერება ჩვენი ჯარებისა აღდგენილ იქნასო. ამ დანიშნულებას ორი გზით მივაღწევთ, ჯარის გასწორება შეგვიძლიან ტყვიისმფრქვეველებით, შოლტით და სათრახით, ესაა კორნილოვის საშუალება დისციპლინის აღსადგენად. შესაძლებელია კიდევ მეორე გზა, გზა ჯარისკაცთა მეომრის დანიშნულების შეგნებისა, რამაც ხელი უნდა შეუწყონ თვითონ ჯარის უფროსებმა. მხოლოდ შინაგან ორგანიზაციას და მჭიდროდ შეთანხმებას შეუძლიან ბრძოლის უნარი ჩაგვინერგოს და ძლიერი ძალა მივიცეთ. აქნობამდინ მთავრობა ამბობდა: თუმცა ჯარის ხელმძღვანელებს არ უნდა ვენდოთ პოლიტიკურს ნიადაგზე, მაგრამ ტეხნიკის საკითხში უნდა მათს განკარგულებას დავემორჩილოთო. ეხლანდელი მთავრობა ამბობს: მთელი რიგი ხელმძღვანელობისა, ვინც რომ არაა ნდობით აღჭურვილი, შეცვლილი იქნება მეორეთი, პოლიტიკურად და ტეხნიკურადაც მომზადებულიო. ჯერ უნდა ჩამოშორებულ იქნენ ისინი, ვისაც არ ვენდობით. მთავარი ბანაკის გამგებლობა უკვე იცვლება, ვინაიდან შეუძლებელია ვიფიქროთ ვითომც მათ არა იცოდნენ რა კორნილოვის შეთქმულობის შესახებ. ვინც შენიშნულნი არიან შეთქმულობაში ყველა სამსჯავროს წინაშე წარადგინეს. 3 რწმუნებულ მის მთავრობამ გამომძიებელ კომისიაში თქვენც მიგაღებინათ მონაწილეობა, თვითეულს როტაზე სამ-სამი კაცი გაგიყვანოთ. მეორე ჩვენი დანიშნულებაა თვითონ არმიის რაოდენობა შევამც. რომ, რადგანაც ჩვენს ქვეყანას ეკონომიურად არ შეუძლიან მათი გაძღოლა. ხალხს ამოდენა ლაშქრის შენახვა უძნელდება, სულ ველარ შესძლებს. მიზეზი ამისა არის ლაშქრის ტეხნიკურად მოუწყობლობა. საქმე ისაა, რომ დღემდე ერთი მეათედი ლაშქრისა ნამდვილად იბრძოდა, მაშინ როდესაც ცხრა-მეათედი ზურგს უმაგრებდა. ეხლა ერთი-მესამედით შემცირებული იქნება ზურგით მდგარი ჯარი, მაშინ როდესაც ტყვიისმტყორცნელები, ზარბაზნები და მებრძოლნი ისევ იმდენივე დარჩება. ასევე გამოაბრუნებენ ზედმეტ ცხენს და საბარგო ურემს. თავის-თავის იმედი—აი მთავარი პრინციპი ყოველი მომქმედი ჯარისა. აქამდე ზემოდ ბრძანებლობა იყო და ქვემოდ მორჩილება. დღეს ასე აღარ შეიძლება: ზემოდან მხოლოდ დირექტივების მიცემა შეიძლება, ხოლო შესრულება უნდა მიენდოს მებრძოლთა შემოქმედის ძალას. ეს სუვოროვის პრინციპია. შემდეგ მინისტრმა სთქვა: ჯერ შევუდგებით ხელმძღვანელთა გამოცვლას, ვინც ნაკლებს ნდობით არის აღჭურვილიო. სამხედრო მოქმედება მაშინ წავა კარგად, თუ იგი ეყრდნობა ფართო დემოკრატიას და მის ორგანოებს.

# ახალ მთავრობის შედგენა

### სოციალისტები და მთავრობა

მოსკოვი. ენკენისთვის 6. სოციალისტ-რევოლუციონერებისა და სოციალ-დემოკრატთა ფრაქციების აღმასრულებელ კომიტეტებმა მთავრობის კრიზისზე იქონიეს თათბირი. ბოლშევიკების ფრაქციამ მთავრობის საბჭოების ხელში გადასვლა მომენტის შესაფერისად სცნო. მენშევიკები სამ ჯგუფად დაიყვნენ. დასასრულ 18-ის ხმით 15 წინააღმდეგ მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც საჭიროდ სცნობენ დემოკრატიულ თათბირზე ფართე მცხოვრებთა სურვილების გამომხატველ მთავრობის შექმნას. სოციალისტ-რევოლუციონერების ფრაქციაში ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. პირველი, რომლის წარმომადგენელიც იყო შინაგან საქმეთა მინისტრი ავქსენტიევი აღნიშნავდა, რომ მთავრობის დაშლას სამშობლოსა და რევოლუციის დაღუპვა მოჰყვება, რის გამოც აუცილებელია კოალიცია თუნდაც ხალხის თავისუფლების პარტიასთან, ამასთან ცენზიან ელემენტებთან შეთანხმება თვითეულ საკითხზე კონკრეტულ პირობებით უნდა მოხდესო; მეორე მიმდინარეობა, რომლის წარმომადგენლადაც მიწადმოქმედების ყოფილი მინისტრი ჩერნოვი იყო—იმ აზრს დაადგა, რომ მთავრობის ორგანიზაცია ფართე მცხოვრებთა სურვილისამებრ უნდა მოხდესო.

### მენშევიკები კოალიციას იცავენ

პეტროგრადი. ენკენისთვის 15. (დაგვიანებული) მენშევიკ-ობორონცებმა მოწოდებით მიმართეს ამხანაგებს და მოქალაქეთ. მოწოდებაში ნათქვამია: რევოლუციურ დემოკრატიის ორგანოების მიერ მტკიცედ მიჩნეული დებულება,—რომ უმაღლესი მთავრობა რევოლუციურ ხანაში კოალიციურ ნიადაგზე უნდა აშენდეს,—შეირყა. მთავრობის უკანასკნელ ცდას კოალიციურ სამინისტროს შედგენაში, დემოკრატიული ორგანოები წინ აღუდგნენ. მთავრობის მოწყობის საკითხი დემოკრატიულ თათბირამდე გადაიდო. მენშევიკ-ობორონცები აცხადებენ, რომ ზოგიერთა დემოკრატიული წრეები ცდილობენ დემოკრატიული თათბირი კოალიციის წინააღმდეგ წაიყვანონ. ეს სამშობლოს დიდ ხიფათს უმზადებს. როგორც მარტო ბურჟუაზიული მთავრობა ისე მარტო დემოკრატიული—სუსტი იქნება სამშობლოს დაცვაში. იგი ვერ იხსნის სამშობლოს ეკონომიურ რღვევისგან. სოციალისტურ სამინისტროს შედგენა დარაზმავს კონტრ-რევოლუციურ ძალებს. მოწოდება თავდება შემდეგი სიტყვებით: „შეერთდით დემოკრატიულ თათბირზე, შეეცადეთ იხსნათ რუსეთი სამოქალაქო ომისგან, წინ აღუდგეთ დემოკრატიის ანარქიულ ელემენტებს და რეაქციას. კოალიციურ მთავრობის გარეშე არ არის ხსნა".

# ყაზახთა მოძრაობა

### ნოვოჩერკასკის მეციხოვნეთა დადგენილება

ნოვოჩერკასკი. ენკენისთვის 5. ნოვოჩერკასკის მეციხოვნეთა ოფიცრებისა და ყაზახების ყრილობამ, რიცხვით 203 კაცმა, დაადგინა—ნდობა გამოუცხადოს კალედინს, როგორც არჩეულ ატამანს. მათი დადგენილებით მხოლოდ სამხედრო წრეს შეუძლიან კალედინის თანამდებობიდან გადაყენება. ოფიცრები და ყაზახები მზად არიან მხარი დაუჭირონ კალედინს, პროტესტს უცხადებენ უპასუხისმგებლო ორგანიზაციებსა და პრესის ცალკე ორგანოთ კალედინის წინააღმდეგ პროვოკაციულ გამოსვლების გამო და მოითხოვენ დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას. ყრილობა კატეგორიულად აცხადებს, რომ მათი სამხედრო ატამანი და სამხედრო მთავრობა დონში ხალხის მიერ აღდგენილ ჭეშმარიტ რევოლუციის აღმასრულებელი ორგანოები არიან.

### ყაზახთა მართველობის განმარტება

მოსკოვი. ენკენისთვის 5. მოსკოვის საოლქო ჯარის უფროსმა ნოვოჩერკასკის მართველობისგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „დონის ჯარს არასოდეს არ უღალატნია სამშობლოსთვის და მის კანონიერ მთავრობისათვის. ხმები კალედინის მიერ აჯანყებულ ჯარის გამოსვლის შესახებ სიმართლეს არიან მოკლებულნი. სამხედრო ატამანი არავითარ აგრესიულ გამოსვლებს არ აწარმოებს. არც მოსკოვს და არც სხვა ოლქებს არავითარი საფრთხე არ ელით". დეპეშას ხელს აწერენ სამხედრო ატამანის ამხანაგი ბოგაევსკი და შტაბის უფროსი პოლკოვნიკი აოკასცევი. ხსენებულ დეპეშის მიღებისამებრ ჯარის უფროსმა ხარკოვის, ვორონეჟის და ტამბოვის სათადარიგო ბრიგადების უფროსებს დეპეშით ბრძანებები დაუგზავნა. დეპეშით მან გადასცა ყველას ყაზახთა განმარტება და შემდეგი დაძინა: „შესწყვიტეთ ყოველივე ზერვა შეიარაღებულ ძალით. კატეგორიულად გიკრძალავთ ყაზახობის წინააღმდეგ რაიმე არა სასიამოვნო საქმის მოხდენას. ყაზახებსა და ეშელონებს ნურსად შეაკავებთ". მოსკოვიდან ნოვოჩერკასკში გარემოების ადგილობრივ გამოსაძიებლად საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლები გაიგზავნენ. პსკოვის საოლქო ჯარის უფროსმა კალედინსა და სამხედრო მართველობას დეპეშით კალედინის შესახებ სხვა და სხვა კითხვების განმარტება მოსთხოვა.

### კალედინის განმარტება

ნოვოჩერკასკი. ენკენისთვის 5. (დაგვიანებული) სამხედრო წრის დღევანდელი კრება კალედინის სიტყვით დაიწყო. კალედინმა განმარტა თავისი მოქმედება და უარჰყო მის შესახებ წამოყენებული ბრალდებები. კალედინი შეეხო აგრეთვე კორნილოვის საქმეს. მის სიტყვას ტაშით ეგებებოდნენ. დასასრულ კალედინმა სურვილი განაცხადა სასამართლოსა და დროებით მთავრობის წინაშე თავის მოქმედებათა განმარტებაზე.

# კორნილოვის აჯანყების გამო

### დატყვევების აკრძალვა

პეტროგრადი. ენკენისთვის 6. სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის კომისარმა ლაშქრის კომიტეტებსა და კომისრებს წინადადება მისცა შემდეგში თავი შეიკავონ სხვა და სხვა პირთა დატუსაღებისაგან, ვინაიდან კორნილოვის შეთქმულების მთავარი მონაწილენი შეპყრობილნი არიან, და საგრძნობი სიწყნარეც ჩამოვარდა.

### გენერ. ერდელის შეპყრობა

პეტროგრადი. ენკენისთვის 6. შეიპყრეს და პეტროგრადს ამოიყვანეს ჯარის უფროსი გენერალი ერდელი.

### გაზეთის დახურვა

კურსკი. ენკენისთვის 6. რევოლუციურმა კომიტეტმა დახურა კონტრ-რევოლუციურ მიმართულების გაზეთი „კურსკაია ჟიზნ"-ი.

### სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის დადგენილება

პეტროგრადი. ენკენისთვის 6. სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: კორნილოვისა და მის თანამოაზრეთა სამხედრო-სარევოლუციო სასამართლოში მიცემა, ლაშქრისა და ფლოტის ოფიცერთა კავშირის დაუყოვნებლივ დახურვა, ზომების მიღება ჯარის შემადგენლობის გასაახლებლად, ფრონტების წარმომადგენელთაგან ბანაკში მუდმივ ორგანოს შექმნა და აგრეთვე საბჭოს დაარსება სამხედრო სამინისტროსთან ჯარის ორგანიზაციების წარმომადგენელთან.

### საქვეყნო კრულვა

მომქმედი ლაშქარი. ენკენისთვის 7. მესამე ლაშქრის ერთ-ერთ დივიზიის სადივიზიო და საპოლკო კომიტეტებმა გადასწყვიტეს თხოვნით მიმართონ საეკლესიო კრებას, რომ მან კორნილოვი და ლუკომსკი საქვეყნოდ დასწყევლოს.

### კორნილოვის დამარცხების დღესასწაული

მოსკოვი. ენკენისთვის 7. დღეს მოსკოვის რევოლუციურმა დემოკრატიამ ბრწყინვალედ იდღესასწაულა კორნილოვის აჯანყების სრული ჩაქრობა. მუშები და რევოლუციური ჯარები წითელ დროშებით დადიოდნენ. წარწერილი ლოზუნგები მეტ წილად ბოლშევიკური ხასიათისა იყო. ჯარების გავლის დროს ჰყვიროდნენ „ურას" და „გაუმარჯოს რევოლუციურს არმიას", „ძირს კორნილოვი!" მანიფესტაციებში მონაწილეობას იღებდნენ ჯარების უფროსები, შტაბის უფროსი, ქალაქის თავი, დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე და მრავალი სხვა.

# ეროვნული საკითხი

### ლიტვის დამოუკიდებლობა

სტოკჰოლმი. ენკენისთვის 5. ბერლინიდან დეპეშით იტყობინებიან ცენტრის დეპუტატმა ერცბერგერმა განაცხადა—რომ გერმანეთი ლიტვას დამოუკიდებლად გამოაცხადებსო.

### ჰუნგრული არმია.

სტოკჰოლმი. ენკენისთვის 4. ჰუნგრეთში ჟურნალ-გაზეთობა დიდის ყურადღებით ეპყრობა საკუთარ ჰუნგრულ არმიის შედგენის გარდაწყვეტილებას. მიუხედავად ამისა, ეს არმია დაექვემდებარება ავსტრიის გენერალურ შტაბის ყოველგვარს სამხედრო განკარგულებას.

### პოლონეთის სახელმწიფო

სტოკჰოლმი. ენკენისთვის 4. ვარშავიდან მოვიდა, ცნობა, რომ ენკენისთვის ორს ცენტრალ სახელმწიფოებს წინადადება მიეციათ პოლონეთის [illegible] საბჭოს დროებით კომისიისთვის [illegible] დანიშნეთ საბჭოს წევრების კანდიდატებიო.

### უკრაინელ გლეხთა დადგენილება

კიევი. ენკენისთვის 5. უკრაინელ გლეხთა დეპუტატების კრებაზე დაადგინეს, საჭიროა მთავრობა დაამტკიცოს სამხედრო, სასურსათო და რკინისგზათა საქმეების სეკრეტარებიო, ამასთანავე მოითხოვენ ცენტრალ რადასთან შეთანხმებით დანიშნულ იქმნეს კიევის სამხედრო ოლქის მთავარი გამგებელიო. გლეხთა ყრილობა მიესალმება რესპუბლიკის გამოცხადებას და უსურვებს, რომ რესპუბლიკა იგი ფედერატიულს ნიადაგზე იქმნეს დაფუძნებული.

### ლედნიცკი პოლონეთის შესახებ

პეტროგრადი. ენკენისთვის 6 სტოკჰოლმიდან პეტროგრადს დაბრუნდა პოლონეთის საქმეთა სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე ლედნიცკი. მან მსჯელობა იქონია პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან. ლედნიცკის აზრით გამგებლობის საბჭოს დაარსების შესახებ გამოქვეყნებულ აქტს მნიშვნელობა აქვს; იგი უადვილებს პოლონელებს სახელმწიფოს აშენების შესაძლებლობას და ამ მხრივ იგი პოლონელთა თანაგრძნობას გამოიწვევს, მაგრამ იგი პოლონეთის საკითხს სრულიად არა სწყვეტს არ იხსენიებს გერმანეთ-ავსტრიის მთავრობას ქვეშ მყოფ პოლონელებს.

რაც შეეხება დროებით მთავრობას, იგი თავის ბრძნულ პოლიტიკით, პოლონელების სრულს თანაგრძნობას იწვევს, როგორც ეროვნულ იდეალისთვის მებრძოლი. ხოლო პოლონეთისა და გერმანეთის ინტერესთა წინააღმდეგობას ცენტრალ სახელმწიფოთა პოლიტიკური მსვლელობა ვერ მოსპობს.

# რუსეთი და ფინლიანდია

### გენერალ გუბერნატორის გადადგომა

პეტროგრადი. ენკენისთვის 6. ფინლიანდიის გენერალ გუბერნატორი სტახოვიჩი თანამდებობიდან გადადგა. მის მაგიერად ნ. ვ. ნეკრასოვი ინიშნება.

# სამინისტროს ეროვნული განყოფილება

პეტროგრადი. ენკენ. 7. შინაგან საქმეთა მინისტრი მოითხოვს დროებით მთავრობისაგან საგანგებო ეროვნულ განყოფილების დაარსებას უწყებაში. მისი მიზანი იქნება: ეროვნულ საკითხის მასალათა შესწავლა და იმ ღონისძიების შემუშავება, რომლის საშუალებითაც დროებითმა მთავრობამ დამფუძნებელ კრებამდის, მთავრობისა და ეროვნებათა დამოკიდებულებისა წესიერ გზაზე დაყენება უნდა შესძლოს, მასვე დაევალება, ადგილობრივ თვითმართველობის სარეფორმო პროექტთან მჭიდროდ შეკავშირებული, საოლქო რეფორმების პროექტის შემუშავება.

# ომი და ზავი

## დეპეშები

### რუსეთის ფრონტი

პეტროგრადი. ენკენისთვის 7. ოფიციალი. ჩრდილოეთის დასავლეთის და სამხრეთ დასავლეთის ფრონტები. რიგის მიმართულებით ენკენისთვის 6-ს დემბურგის აღმოსავლეთ რაიონში მტერმა შემოტევა დაიწყო. ლატიშები თავგანწირულ კონტრ-იერიშით ექვეთნენ და, არტილერიის დახმარებით, მტერი მოიგერიეს. ფრონტების დანარჩენ ნაწილებში—სროლაა.

მფრინავთა მოქმედება. პოდრეზის რაიონში, ნაროჩის ტბის ჩრდილო ნაპირზე ჩვენმა მფრინავებმა მტრის საწყობებს [illegible] დაუშინეს ყუმბარები. მტრის მფრინავებმა ყუმბარები დუბნო-რაძივილოვის სადგურის რაიონში ჩამოყარეს.

რუმინეთის ფრონტი. გროზეშტის სამხრეთით ენკენისთვის 5-ს მტერმა რუმინელებს დაჭერილი ასპარეზი დაალევინა. ენკენისთვის 5-ს ღირს შესანიშნავი სხვა არა მომხდარა რა.

კავკასიის ფრონტი. ვანის აღმოსავლეთით ჩვენები ქურთების ბრბოს შეებნენ. მთები არშინ ნახევარზე დათოვა. კალკიტის სამხრეთ-დასავლეთით და ერზინჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთით დიდი ქარბუქია. სიცივე 19 გრადუსს აღწევს.

შესწორება. ენკენისთვის 1-ის ცნობაში ნათქვამი იყო; რუსის ჯარმა პელნო დაიჭირაო. ეს ნამდვილი არ არის. პარტიზანების რაზმმა, ლატიშები და ჯავშნოსან ავტომობილების დახმარებით პელნოს სამხრეთ დასავლეთი მდებარე სოფელი ზიონი დაიჭირეს. პელნოკი ლატიშების ნაწილებმა დაიჭირეს მარიამობისთვის 31-ს.

### გერმანელების განზრახვა მინსკის გარღვევაზე.

მომქმედი ლაშქარი. ენკენისთვის 7. მიღებულ ცნობებით გერმანელებს განზრახვათ ფრონტის გამორღვევა მინსკის მიმართულებით. ეს ცნობა გამოქვეყნებულია რუსეთის №-ის არმიის ბრძანებაში. ჯარის უფროსი მოუწოდებს ენერგიის გაორკეცებას.

### საფრანგეთის ფრონტი

პარიზი. ენკენისთვის 7. ოფიციალი. არტილერიის ენერგიული მოქმედებაა.

პარიზი. ენკენისთვის 7. საღამოს ოფიციალი. სერნის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ ცეცხლით შევაჩერეთ.

### ინგლისის ბანაკის ცნობა

ლონდონი. ენკენისთვის 7. იპრის აღმოსავლეთით ფართე ფრონტზე ჩვენ წინ წავიწიეთ და მნიშვნელოვანი ასპარეზი დავიჭირეთ.

### იტალიის ფრონტი

რომი. ენკენისთვის 7. უცვლელადაა.

## უკანასკნელი დეპეშები

„ვოლია ნაროდა“ დემოკრატიულ თათბირის შესახებ სწერს: თათბირი მშრომელ რუსეთის უფლება მოხილ წარმომადგენლებად არ ჩაითვლებათ. მეორე წერილით გაზეთი აცხადებს: დემოკრატიის ერთი ნაწილი ოხლოკრატიათ გარდაიქცა და მასთან ბრძოლას კონტრ-რევოლუციას უწოდებენ.

—

დემოკრატიულ თათბირში არ მონაწილეობენ: ხრულიად რუსეთის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭო, რუსეთის ცენტრალი მომხმარებელთა საზოგადოება, მოსკოვის სახალხო ბანკი, ხელის მწარმოებელთა ცენტრალი ამხანაგობა და ციმბირის ერბოს მწარმოებელთა კავშირი.

—

„დენი“ აღნიშნავს, რომ ერთან დემოკრატიულ მთავრობის შექმნა პროლეტარიატის დიქტატურამდე მიგვიყვანსთ.

—

„ედინსტვო“ სწერს: დემოკრატიის და ბურჟუაზიის შორის განხეთქილებას მხოლოდ იმში დამარცხება და რევოლუციის დაღუპვა მოჰყვება.

—

მოსკოვის დეპუტატთა საბჭომ ბოლშევიკების რეზოლუცია მიიღო. რეზოლუცია კიშკინის კომისარობიდან გადაყენებას მოითხოვს.

—

პეტროგრადიდან საშინაო საქმეთა სამინისტროს გადმოტანას უპირებენ.

—

გარეშე საქმეთა სამინისტრო გადაიქვთ მოსკოვში.

—

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ჩხეიძის მაგიერ ასახელებენ ჩერნოვს.

—

გარეშე საქმეთა მინისტრი ტერეშჩენკო კატეგორიულად უარყოფს ხმებს საზავო მოლაპარაკება უკვე დაწყებულიყოს.

—

მოკავშირე სახელმწიფოების ელჩებს აშინებს ხმები, რომელიც მოდის ვლადივასტოკიდან, ცარიცინიდან და სამარიდან.

## ქრონიკა

### თბილისი

◆ **საეკლესიო კრება.** გუშინ სიონში საეკლესიო კრების დელეგატების და მუარებელ მლოცველთა დასწრებით შესრულებულ იქმნა ლიტურღია. მწირველი იყო სრულიად საქართველოს კათალიკოზი პატრიარქი მოსაყდრე თბილელი მიტროპოლიტი ყ. ს. ლეონიდე ეპისკოპოსთა თანამწირველობით. შემდეგ გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი და შესრულებული ძეგლის წესი. საღამოს დაიწყო საორგანიზაციო თათბირი და აირჩიეს სამანდატო კომისია, რომელშიც შევიდენ ყველა პარტიის წარმომადგენელნი.

◆ **საქართველოს კათალიკოსად** კანდიდატათ პეტროგრადის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორ ალ. ცაგარელს ასახელებენ. ალ. ცაგარელი საეკლესიო საკითხების კარგ მცოდნეთ ითვლება.

◆ **სწავლის შეწყვეტა უნივერსიტეტებში.** სახალხო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებლებში სამოსწავლო წლის დაწყებამდე სწავლა შეწყვეტილი იქნება. მედიკებს სწავლა ექნებათ. ამის გარდა ლაბორატორიაში დაუშვებენ წლეულ კურს დამთავრებულ კურსო პირებს. მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა არ შესწყდება. ამის შესახებ გაზეთის ცნობები—სიმართლეს მოკლებულია.

◆ **ქართულ ეკლესიის მომწყობი კომისია.** „პეტრ. სააგენტოს“ გადმოცემით საქართველოს მართლ-მადიდებელ ეკლესიის დროებით მოსაწესრიგებლად პეტროგრადში შესდგა საგანგებო კომისია პროფესორ ნ. მარის თავმჯდომარეობით.

◆ **ბარგის უფასოდ წაღების მოსპობა.** დროებითმა მთავრობამ დაადგინა რკინის გზის მოსამსახურეებს ერთი ფუთი ბარგის უფასოდ წაღების უფლება მოისპოს.

◆ **სურსათის მოხვლა.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა მიიღო ენკენისთვის 8—9-ს ხორბალი 3 ვაგ., ქერი 14 ვაგონი, ფქვილი შაქარი 3 ვაგ., კარტოფილი 3 ვაგონი.

◆ **კატორღაში ნამყოფ პოლიტიკურ მოღვაწეების** ენკენისთვის 13-ს თათბირი ექნებათ „კრუჟოკის“ საზაფხულო ბინაზე. თათბირის უმთავრესი საგანია საკითხი ბინისა დამუშაობის წინის შესახებ.

◆ **ა. ი. ხატისოვი** ალექსანდროპოლის საბჭოს ქალაქის თავად დაუსახელებიათ. ხატისოვს თანხმობა განუცხადებიათ.

◆ **მისალმება საეკლესიო კრებას.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნა საქართველოს საეკლესიო კრებას. წერილი გრძნობიერად არის შედგენილი.

◆ **პურის მტკიცე ფასები.** კავკასიის საოლქო სასურსათო გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სასურსათო სამინისტროს წინაშე დასტოვოს უცვლელად გიორგობისთვემდის პურის ეხლანდელი მტკიცე ფასები, რათა სოფლებიდან ხორბლისა და ფქვილის მიტანა რკინის გზის სადგურებზე გაცხოველდეს.

◆ **პურის მონოპოლია კავკასიაში.** სამინისტრო სასურსათო საქმეებისა წინადადებას აძლევს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს გამოარკვიოს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელი და სასურველია პურის მონოპოლია ამიერ კავკასიაში.

◆ **სკოლის ნაციონალიზაციის** პროექტი გუშინ უნდა განეხილა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს.

◆ **ნიხრი სანოვაგეზე.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა ენკენისთვის 2-ს შემდეგი ნიხრი დაამტკიცა: გირვანქა გადამდნარი ერბო 3 მან. 20 კ., ფუთი 120 მ., კარაქი გირვანქა 3 მ., ფუთი 112 მან., მარილიანი ერბო გირ. 2 მან. 80 კ., ფუთი 104 მან. გირვანქა ყველი შვეიცარული 1 მ. 60 კ., გოლანდიური 1 მ. 50 კ., მთის ყველი 1 მ. 10 კ., მოთალი 1 მ. 20 კ.

◆ **უნივერსიტეტი თბილისში.** უკანასკნელ ცნობების მიხედვით, საბოლოოდ გადაწყვეტილია იურიევის (დორპატის) უნივერსიტეტის ევაკუაცია. აზრად ჰქონდათ ვორონეჟში გადაიტანონ უნივერსიტეტი. თბილისის თვითმართველობის შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ უნივერსიტეტი თბილისში იქმნას გადმოტანილი მხედველობაში მიუღებიათ და განიხილავენ.

◆ **სამხედრო ბეგრის შეღავათი.** ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიამ განიხილა საკითხი შესახებ ტრამვაის მოსამსახურეთათვის სამხედრო ბეგრის შემსუბუქებისა და დაადგინა, რომ იმ მოსამსახურეთ, რომელთა ნაცვლად სხვების შოვნა ძნელია, სამხედრო სამსახურში გაყვანის ვადა უნდა გადაუდვანო. კონდუქტორთა შესახებ საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა, ხოლო ბევრი დარგის მოსამსახურეთ არავითარი შეღავათი არ მიეცემათ.

◆ **ნ. ელიავა,** თბილისის ქალაქის თავი რამდენიმე დღით კახეთს გაემგზავრა.

◆ **ს. დანდუროვი,** თავმჯდომარე საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისა, კახეთს წავიდა ჯარებისათვის ღვინის სყიდვის მოსაწყობად და ნედლი ტყავების სარეკვიზიციოდ.

◆ **პეტროგრადის დემოკრატიულ ყრილობაზე** გასაგზავნად კავ. მ., ჯარ. და გლეხ. ცენტრმა დელეგატებად აირჩია: ნ. ჟორდანია, ი. ქარცივაძე და მ. ცხაკაია; მათ კანდიდატად—ვ. ჯუღელი. ცენტრმა შემდეგი დირექტივები მისცა თავისს დელეგატებს: 1) დამფუძნებელ კრების მოწვევა დანიშნულ დროს, 2) მხედრობის რეორგანიზაცია, 3) ზავის დამყარება დაუყოვნებლივ და 4) ადგილ-მამულის კონფისკაცია.

◆ **რუსთა საეკლესიო კრება და კავკასია.** მოსკოვის საეკლესიო კრებაზე განაცხადეს, რომ საჭიროა ეთხოვოს დროებით მთავრობას კავკასიის რუს მართლმადიდებლების დანარჩენ მცხოვრებთაგან დაცვისათვის შესაფერ ზომების მიღება.

◆ **კავკასიის სამხედრო კომისარი.** კავკასიის ოლქის მთავარ სამხედრო კომისარად დაინიშნა ჩრდილო დასავლეთ ფრონტის ყოფილი კომისარი ვლ. პ. გობეჩია.

◆ **კავკასიის ფრონტის კომისარის თანაშემწე** ივს. პავ. გობეჩია დაინიშნა კავკასიის ფრონტის კომისარის თანაშემწედ.

◆ **კერენსკი და დაშნაკცუტუნ.** „ორიზონ“-ი სწერს, რომ უმაღლეს მთავარსარდალ კერენსკისა და სამხედრო მინისტრ სავინკოვისაგან „დაშნაკცუტუნ“-ის პარტიის ცენტრალ ორგანოს სახელზე დეპეშები მიუღიათ. სთხოვენ დროებით მთავრობას გარშემო შემოკრებას და რევოლუციის დაცვას.

◆ **პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე.** დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლების ყრილობაზედ, რომელიც პეტროგრადში მოწვეული 12 ენკენისთვისათვის, ქართულ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობა პარტიათა შეთანხმებით გაგზავნილ იქმნენ: შალვა ამირეჯიბი, აკაკი ჩხენკელი და სიმონ მდივანი.

◆ **ზუბალაშვილის საჩუქარი.** დროებითმა მთავრობამ ნება დართო მოსკოვის რუმიანცევის მუზეუმს მიიღოს მოქალაქე ზუბალაშვილისაგან სამხატვრო კოლექცია. საჩუქარში შედის 150 ძველი რუსული ხატი მინანქარზე ნახატი, 40 ძველებური ფაიფურზე და სხვა. საჩუქრის ფასი მუზეუმის ადმინისტრაციის ანგარიშით 7.500,000 მანეთია.

◆ **ტყავეულობის გატანის აკრძალვა.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობის ზოგიერთ წევრს აზრად აქვს წინადადება მისცეს კომიტეტს, რომ დროებით აეკრძალოს ტყავეულობის გატანა თბილისიდან და თბილისის გუბერნიიდან, სანამ კომიტეტი გამოარკვევდეს ამ საქონლის რაოდენობას.

◆ **ქალაქის სესხი.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა ნება დართო ქალაქის თვითმართველობას მოკლე ვადით ისესხოს 1 მილიონი მანეთი.

◆ **შიმშილი.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს ატყობინებენ თელავისა, სიღნაღისა, გორისა, ახალქალაქისა და ბორჯომის რაიონების სასურსათო კომიტეტები, რომ პური სრულებით არ მოგვეპოვება და ჩქარა მოგვაწოდეთო. გუბერნიის კომიტეტი ყველას უარს ეუბნება, რადგან თბილისის გამოსაკვები პურიც არ მოეძებნება.

◆ **მუშაობის განახლება.** კავკასიის საამხანაგო საქონლის სავაჭრო საზოგადოების მოსამსახურეთა ეკონომიური მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულია. მოსამსახურეებმა გაფიცვა შესწყვიტეს და მუშაობა განაახლეს.

◆ **ხმ. ჯაფაროვი** თანამდებობიდან გადადგა; მის ადგილას მოწვეულია ნ. ა. ატოევი.

## კომისარების თათბირი

ვ. ა. ხარლამოვის თავმჯდომარეობით, ენკენისთვის 6-ს მოხდა საგუბერნიო, საოლქო კომისრების და ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის რწმუნებულთა მესამე სხდომა. მიიღეს დებულება ამიერ-კავკასიის მილიციის და სოფლის ყარაულთა შესახებ. მილიციონერები თოფის დაკარგვაზე უნდა იხდიდნენ 500 მანეთიდან—1.500 მანეთამდე. ამასთან დამკარგველნი პასუხისმგებლობაში მიეცემიან. სოფლის საზოგადოებათა დადგენილებებს თოფების მიწვდის შესახებ სამაზრო კომისრები უნდა ამოწმებდნენ. სოფლის დარაჯების ხარჯს სოფლის საზოგადოება უნდა გაუძლვეს, მილიციის შესანახად ქალაქებს გამოერთმევათ იმ ფულის ნახევარი, რომელიც 1917 წლისთვის პოლიციის შესანახად ჰქონდათ ხაზინიდან დანიშნული. გადასწყდა ხელმეორედ ითხოვონ მილიციონერების სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლება. ენკენისთვის 5-ის სხდომამ კომისრების ჯამაგირის საკითხი და აღმასრულებელ კომიტეტების ფულის მიცემა განიხილა.

## რატომ გაძვირდა პური

სასურსათო მინისტრის რწმუნებულმა 1 სექტემბერს აცნობა თბილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტს, რომ პირველ სექტემბრიდან პურის ფქვილი ეღირება 8 მ. 30 კ.

ქალაქში პურის ნიხრის დაწესების დროს ანგარიშში იყო მიღებული შემდეგი ხარჯები:

| | |
|---|---|
| ფქვილის ფასი ფუთი. . | 8 მ. 30 კ. |
| საგუბერნიო და საქალაქო კომ. შესანახად ფუთზე . . | 6 კ. |
| კომიტეტის საწყობში გადატან-გადმოტანა, დატვირთვა და სხ. | 17 „ |
| წამხდარი ტომრების ფასი . . | 13 „ |
| ვაგონების დაუცლელობის, გზაში მოპარული ფქვილი და სხ. | 16 „ |
| ფრახტი . . . . . . . . | 92 „ |

ასე რომ, თვით ღირებულება ფუთი ფქვილისა არის 9 მ. 74 კ. ვიღებთ რა სახეში, რომ ფუთ გამომცხვარ პურს წონაში ემატება 13 გირვ., მაშასადამე—53 გირ. რომ გავყოთ 40-ზე მივიღებთ 18 კაპ. და 38 მეასედს ერთი კაპეიკისა. ეს იქნება ერთი გირვანქა გამომცხვარი პურის ფასი.

ამ ფასს უნდა მივუმატოთ გირვანქაზე თითო შაური—ეს იქნება მეპურის მოსაგები, გამოცხობის თუ კომიტეტის საწყობიდან ფურნეში მიტანის ხარჯების დასაფარავად. ამ სახით მივიღებთ გირვანქა პურის ფასს 25 კაპ. და 38 მეასედს ერთი კაპეიკისა.

ფასის ამნაირად განსაზღვრის დროს სახეში არ არის მიღებული:

| | |
|---|---|
| რკინის გზის სადგურთან მისატანი ფუთზე. . . . . | 25 კ. |
| ტომრების შეკეთების ფუთზე . | 5 „ |
| წონაში დაიკარგება დაახლოვებით ფუთზე . . . . . . | 26 „ |

ვინაიდან ბარათების შემოღების შემდეგ მეფურნეებს ფქვილი წონით მიეცემათ და აუცილებელია ფქვილის აწონვის დროს დაკარგვა, ფუთზე უნდა დაემატოს ზემო მოყვანილ რიცხვს 26 კაპ. ამ სახით ნიხრს მოემატება გირვანქაზე თითო კაპეიკი—ესე იგი, თითო ფუნტის პური ეღირება გირვანქა 25,38 კ., (25 კ. და 38 მეასედი ერთი კაპეიკისა), ფურნის პური—24,38 კაპ.

ყველა ეს ფასი მინიმალურია ე. ი. იმდენი, რომელზედაც ნაკლების აღება აღარ შეიძლება.

## უკურობა.

გუბერნიის სასურსათო გამგეობის წევრმა გ. დოლაქიშვილმა მიმოვლო რამდენიმე სოფელი ქართლში და მოაწყო პურის შესასყიდველი ორგანიზაციები მტკიცე ფასებში. დოლაქიშვილის შემუშავებული გეგმა ასეთია: უნდა მოხდეს დაწვრილებითი აღწერილობა ხორბლეულობისა თითოეულ სოფელში. ოჯახს დაუტოვებენ იმდენ ხორბალს, რამდენიც საჭიროა მისთვის გამოსაკვებათ და სათესლეთ. ვისაც ზედ-მეტი ხორბალი აღმოაჩნდება, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს გადაეცემა მტკიცე ფასებში გუბერნიის იმ ოჯახებისა და სოფლებისთვის, რომელთაც საკვები და სათესლე მართლაც აკლიათ. ბ-ნი დოლაქიშვილი იმ აზრისაა, რომ აღწერილობა ხორბლეულობისა ენკენისთვის დამლევამდე უნდა მოესწრო, რათა ყველა სოფელს საშუალება მიეცეს მინდვრების დათესვისა.

გ. დოლაქიშვილმა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის სახელით შემდეგი მოწოდებით მიმართა სოფლებს, რომელსაც კარგი გავლენა ჰქონია:

საშინელ გაჭირვებას განიცდის ჩვენი სამშობლო სურსათის უქონლობის გამო: დღითი-დღე მცირდება რაოდენობა მოტანილი პურისა, დღითი-დღე საგრძნობი ხდება პურის უქონლობა ქალაქებსა და სოფლებში. ქალაქის მცხოვრებნი უკვე კარგა ხანია ნახევრად მშიერნი არიან (თითო კაცი ნახევარ გირვანქა პურსა სჭამს), ხოლო ეხლა ესეც აღარაა და ნამდვილი შიმშილი მოელის ხალხსა.

ამხანაგებო მიწის მუშებო! დაეხმარეთ თქვენს რევოლუციურ მთავრობას ამ დიდს საქმეში! თქვენს დაუხმარებლად ეს მთავრობა ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას, თუ თქვენ არ მიეცით პური ქალაქებსა და სოფლებს, აუცილებლად შიმშილი დაატყდება ხალხს, დაიწყება ღელვარება, უწესოება და ჩვენი სამშობლო დაიღუპება, წაგვერთმევა სანეტარო თავისუფლება.

რაც საშინელი ომი სწარმოებს, ამ სამი წლის განმავლობაში ჩრდილოეთი კავკასია გვაწვდიდა პურსა. ამ პურით იკვებებოდით თქვენ, ამხანაგებო, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მოუსავლობა იყო. ეხლა ჩრდილო კავკასიის პური საჭიროა ჯარისთვის და რუსეთის შიდა გუბერნიებისათვის.

თბილისის გუბერნიის ქალაქებსა და სოფლებს უნდა უშველოთ თქვენ, მიწის მუშებო, რომელთაც გაქვთ მოპარებული პური, რომელთაც თავის ნახნავ-ნათესიდან მცირე მოსავალი მაინც მოუვიდა.

მიჰყიდეთ თქვენი პური სარაიონო სასურსათო კომიტეტებს, კოოპერატივებს, რომელნიც თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ხელმძღვანელობით მუშაობენ. კომიტეტი ცდილობს მიაწოდოს პური ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთ, კომიტეტივე ცდილობს მოგაწოდოთ თქვენ, სოფლის მუშებო, იაფფასიანი ფართალი და სამეურნეო იარაღები.

## სარევოლიუციო კომიტეტის საკითხი მ. და ჯ.-პ. საბჭოში

ენკენისთვის 6-ს შეერთებული კრება ჰქონდათ თბილისის მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს და, იქონია რა მსჯელობა თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: 1) მიუხედავად კერენსკის ბრძანებისა შესახებ იმისა, რომ კორნილოვის გამოსვლის წინააღმდეგ საბრძოლველად დროებით შემდგარი ორგანიზაციები ეხლავე უნდა დაიშალნენო, არ დაიშალონ ეს ორგანიზაციები და თავიანთ ადგილს დარჩნენ; 2) ყველა წევრთა თანხმობით, გარდა ერთისა, გადაწყვეტილ იქმნა, რომ კავკასიის დროებითი სარევოლიუციო კომიტეტი გადაკეთდეს სამუდამო კომიტეტად და აღჭურვილი იყოს იგი სრული უფლებით; 3) კომიტეტში წევრებად უნდა შედიოდნენ მხოლოდ სოც.-დემოკრ. და სოც. რევ. პარტიების წარმომადგენელნი, სულ 7—8 კაცი; 4) კომიტეტს შედგენის დროს ფარულ-ფული უნდა იქმნას ეროვნული პრინციპი; 5) კომიტეტის წევრთა სია დასამტკიცებლად წარედგინების საოლქო ცენტრებს და შემდეგ დროებით მთავრობას; თუ მთავრობამ სია არ დაამტკიცა, საოლქო ცენტრს ამის შესახებ თავის დროზე ექნება მსჯელობა; 6) დაევალოს პეტროგრადის დემოკრატიულ კრებაზე გაგზავნილ დელეგატებს იშუამდგომლონ დროებითი მთავრობის წინაშე, რომ სია დაამტკიცოს მან; 7) ეკონომიურ და პოლიტიკურ მოსაზრებით კომიტეტის მოქმედება ჩრდილო კავკასიაზედაც უნდა გავრცელდეს; 8) გადაწყვეტა საკითხისა, შესახებ იმისა, ოსმალეთის დაპყრობილ ადგილებზე უნდა გავრცელდეს კომიტეტის მოქმედება თუ არა, მიენდოს საოლქო ცენტრს.

სოც.-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომიტეტიდან გამოტოვებული არ უნდა ყოფილიყვნენ დანარჩენი სარევოლიუციო პარტიებიც, ყოველ შემთხვევაში სათათბირო ხმის უფლება მაინც უნდა ჰქონოდა მათო.

## თბილისის ქალაქის საბჭო

ენკენისთვის 7 სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობს **ევგენი გეგეჭკორი.** დღის წესრიგში დგას სასურსათო საკითხი.

წარსულ სხდომაზე მიღებულ დადგენილებათა წაკითხვა-დამტკიცების შემდეგ, თავმჯდომარე აცხადებს, რომ დ. აბუნდიძე (ს.-დ.) და გ. მინოსაზოვი (მუსულ.) თავს ანებებს ხმოსნობას. მათ ადგილს დაიჭერს მორიგი კანდიდატები **ნ. ატოევი** (ს.-დ.) და ბახტიონის **მუხამეჯანოვი** (მუს.).

ქალაქის თავი ნ. ელიავა აუწყებს დამსწრეთ ინჟინერ-ტეხნიკის **ოგანჯანოვის** გარდაცვალებას, რომელიც 21 წელი მსახურობდა თბ. ქალაქის თვითმართველობაშიო, ქალაქის გამგეობას დაუდგენია, ერთდროულ დახმარებათ მისცეს ოგანჯანოვის ცოლშვილს იმდენი, რამდენსაც განსვენებული თვეში იღებდა ჯამაგირს, გვირგვინით შეამკოს განსვენებულის ცხედარი, დასაფლავებაზე დასასწრებათ გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი, გამოუცხადოს განსვენებულის ოჯახს თანაგრძნობა და დაუნიშნოს მას პენსია.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა გამგეობის დადგენილება.

ამის შემდეგ ნ. ელიავა აცხადებს, რომ ქალთა კავშირის მთავარი კომიტეტის დადგენილებით მოწვეულ იქნება 3 ოქტომბერს ქალთა **წარმომადგენლების ყრილობა,** თბილისის ქალაქის გამგეობას განუზრახავს წინასწარ 20 სექტემბერს მოიწვიოს კავკასიის ქალთა წარმომადგენლების ყრილობა და დაუდგენია ყრილობის მოწვევამდე ქალთა კავშირის კავკასიის კომიტეტის წევრებს შეარჩიოთ თავისი რწმუნება.

საბჭომ მიიღო ეს დადგენილება. ფ. მახარაძე წინააღმდეგ მიდის, არ ვიცით კარგათ რაშია საქმე და როგორ შეგვიძლია შევურთდეთ ქალაქის გამგეობასო.

**სასურსათო კომიტეტების ორგანიზაციის შესახებ** მოხსენებას აკეთებს **ხმ. მ. რუსია.** დრ. მთავრობის მიერ გამოცემულ დებულებათა თანახმათ მარტის ბოლო რიცხვებში—ამბობს მომხსენებელი—მოეწყო ქალაქის სასურსათო კომიტეტი. კომიტეტში შედიოდა ხუთ-ხუთი წარმომადგენელი მუშათა, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთაგან, ქალაქის საბჭოსაგან და ადგილობრივ კოოპერატივებისაგან. გარდა ამისა თვითეულ უბანში დაარსებულ იქნა უბნის კომიტეტი. უბნის კომიტეტში შედიოდნენ 3 წარმომადგენელი კოოპერატივებისაგან, 3—ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციისაგან და 3—ჯარისკაცებისაგან. შემდეგ უბნის კომიტეტებში შევიდნენ უბნის მცხოვრებთა შვიდი წარმომადგენელი. ქალაქის სასურსათო კომიტეტმა გამოიმუშავა უბნის სას. კომიტეტების დებულებანი, რომელშიაც გარკვეული იყო მათი უფლება—მოვალეობანი. ქალაქის სას. კომიტეტის მოქმედების საზღვრები ძლიერ ვიწრო იყო, ყველა მთავარ სურსათის, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებისაგან ვიღებდით. აპრილის უკანასკნელ რიცხვებში დაიწყო მოქმედება ქალ. სას. კომიტეტმა და მაშინვე გადასაჭრელად დაუდგა მას წინ შაქრის საკითხი. შაქრის ბარათების ხელ-ახლა გამომუშავება მოგვიხდა, ვინაიდან ძველ ბარათებს დიდი ნაკლი ჰქონდათ: არ შეიძლებოდა კონტროლის გაწევა, რითაც სარგებლობდენ ზოგიერთები და თვეში რამდენჯერმე გამოჰქონდათ შაქარი. ძველი ბარათების დროს 318 ათასი სული სარგებლობდა შაქრით, ახალი ბარათების დროს კი—240 ათასი. განსხვავება აიხსნება ბარათების განსხვავებით ახალი ბარათების დროს ბოროტმოქმედებას ადგილი არ ქონდა. მეორე საკითხი, რომელიც ქალაქის სასურსათო კომიტეტს დაუდგა წინ, ეს ფქვილის საკითხია. ძველი გამგეობა სადგურზედ არიგებდა ფქვილს და, რა თქმა უნდა, 15—16 ვაგონი ფქვილი აქ [illegible] სადგურზე ვიღებდით ფქვილს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისაგან. ჩვენ შემოვიღეთ ფქვილის ბარათებით გაყიდვა, ვიცოდით თვითეულ პურის მცხობელს რამდენი მიჰქონდა ფქვილი და ამით კონტროლის გაწევა გვიადვილდებოდა. კომიტეტის დაარსებიდან 1 სექტემბრამდე ჩვენ მივიღეთ სულ 162 ვაგონი ფქვილი, ე. ი. დღეში 6 ვაგონი... სასურსათო საქმის მინისტრის მთავარ რწმუნებულისაგან ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ 1 სექტემბრიდან ფქვილის ფასი ორჯერ იქნება გადიდებული. 3—4 დღეში ჩვენ შემონახული, ძველ ფასებში ნაყიდი ფქვილი გვეყო, შემდეგ კი, ე. ი. 3—4 სექტემბრიდან უნდა გაგვედიდებია პურის ფასი ორჯერ, თორემ დღეში გვექნებოდა ზარალი 30 ათასი მანეთი. ეს ჩვენ ვაცნობეთ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტს, ცენტრმა გამოუშვა მოწოდება, მოუწოდებს მცხოვრებთ მშვიდათ შეხვდნენ პურის გაძვირებას. შესდგა აგრეთვე ცალკე თათბირი, რომელიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 24 კაპეიკზე ნაკლებად არ შეიძლება პურის გაყიდვა. აქ მომხსენებელმა წაიკითხა ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ ფურნეში გამომცხვარი გირვანქა პური ჯდება 23 კ., ხოლო თორნეში გამომცხვარი 24 კ. პურის გაძვირების რამდენიმე დღით დაგვიანებამ გამოიწვია 2 ათას მანეთზე მეტი ზარალი, ეს ზარალი ქალაქის საბჭომ უნდა გადაიხადოს, ვინაიდან, მისი მოთხოვნით იქნა შეჩერებული პურის ახალი ნიხრის მიხედვით გაყიდვა. დასასრულ, მომხსენებელი სთხოვს საბჭოს დაჩქარებით აიღოს თავის ხელში სასურსათო საქმე.

(გაგრძელება იქნება)

## ჩემი დღიური

„ადამიანი იყო ის“

შექსპირი.

წარსულ კვირას გარდაიცვალა სოფ. ქარელში კნ. ეფემია ციციშვილისა. ჩვენ გაუთავებელ შავ დღეებში, როცა მარტო სიკვდილი ჰმეფობს ქვეყანაზე, რა საკვირველია მოხუცის გათავება?

მარამ განსვენებული ეფემია იყო სამაგალითო ადამიანი, რომელიც ღირსია განა თუ მოვიგონოთ გაზეთში, მთელი წიგნიც რომ შევადგინოთ, სუყველა, ვისაც ეინტერესება ჩვენი შინაარსი, დიდ სიამოვნებით წაიკითხავს; რადგანაც მთელი ეფემიას ცხოვრება მხურვალე სიყვარული მახლობლებთან, დიდი შრომა და ცოდნა ათას ნაირი საქმისა, რომელიც უნდა ნამეტნავათ სოფლათ მცხოვრებელ ხალხს.

ეფემიას ახალგაზდობის დროს ჩვენ საქართველოში ხომ არ იყო ის პარტიობა, რომელიც ეხლა აბრჩობს ხალხს, არც „მარჯვენა“, არც „მარცხენა“, არც „სოციალისტი“, არც „დემოკრატი“, არც „რევოლიუციონერი“ ეს სიტყვები ძველ საქართველომ არ იცოდა, მაგრამ ძიელ კარგად იცოდა განსვენებულმა ეფემიამ ადამიანიშვილის ვალდებულობა, და მინამ არ დახუჭა თვალები, ბინდ-ბუნდში ადგებოდა და შუაღამემდინ ერთგულათ, სიყვარულით ემსახურებოდა თავის ოჯახს, მეზობელს, ვინც კი გაჭირებული მიადგებოდა იმის სახლს, გლეხი, თავადი, აზნაური. შინაური წამლობა ძლიერ კარგად იცოდა განსვენებულმა ეფემიამ და მრავალი მოარჩინა; ბევრისაგან გლეხკაცობაში გამიგია, როგორ ტკბილად ლოცავენ ეფემიას და იმის ოჯახს, სადაც გაჭირებულ ნაკლებ ადამიანს მუდამ ჰქონდა განა თუ მარტო წამალი, თბილი კუნკული და გემრიელი ლუკმა პური.

გლეხი, აზნაური, თავადი, დიდი და პატარა — ეფემიასთვის სულ ერთი იყო—ადამიანი და ვისაც უფრო გაჭირვება აწუხებდა—იმას მეტ ყურადღებას აქცევდა. ბოსტანში, თავის სახლში ისე მუშაობდა, როგორც ნამდვილი მუშა და ისეც დააჩვია თავისი შვილი, აგრეთვე იმისი სახლობა. მართალია ამ ტიპის ადამიანი მრავალია ჩვენ საქართველოში, მაგრამ ერთი ხაზია იშვიათი განსვენებულ ეფემიას ხასიათში, რომელიც აზარებს ადამიანიშვილს. მეტი ნაწილი ჩვენ, ქართველ მშრომელ ქალებში ისეთები ვართ, რომ მუშაობისაგან ვბრაზობთ, თითქო ვიღასაც ვაყვედრებთ, წარბშეკრული, გაჯავრებული უხალისოთ ვაკეთებთ საქმეს.

ეფემიას ხელებში სუყველანაირი საქმე თითქო ვარდის კონა იყო,—ესიამოვნებოდა, უხაროდა, მუდამ ღიმილით მიეგებებოდა ადამიანს, როცა საქმის გამო ვინმე იმასთან მივიდოდა,

ათასიც რომ შეეწუხებინა საქმეს, არ იცოდა ჩივილი.

— ოღონდა ქვეყანაზე იყოს მშვიდობიანობა—იტყოდა ხოლმე ეფემია—სხვა არაფერი მინდა—შრომა—ბედნიერებაა, შვილო!

მართლაც იმისი ლამაზი სიცოცხლით სავსე ფვალები, ალერსიან მოკითხვას ამტკიცებდნენ, რომ მართლაც ეფემიასთვის შრომა იყო უმაღლესი ბედნიერება. ამნაირი ადამიანები ამშვენებენ ჩვენ საბეჩაო ცხოვრებას, წარმოადგენენ ახალგაზდობისთვის კარგ მაგალითს—როგორი უნდა იყოს ადამიანის შვილი, რომელსაც ესმის სიცოცხლის მიზანი.

მგონი ღრმა მოხუცი იყო ეფემია..

მაგრამ მრავალმა ცხარე ცრემლმა მორწყო იმისი კუბო.

სულის სისუფთავე, ერთგული შრომა და გულკეთილობა—რა ძვირფასი ნივთები ხართ ცხოვრებაში, მეტადრე, როცა ადგება ხოლმე კორიანტელი!..

დ. ვედრებისელი.

6 სექტემბერი.

# საქართველოს ეკლესიის ორგანიზაცია

**საზოგადო დებულებანი**

§ 1. საქართველოს ეკლესია არის „ერთის წმიდის კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის" [illegible] სარწმუნოებრივი საზოგადოება, რომელსაც შეადგენს ყველა მართლმადიდებელნი ქართველნი [illegible]

შენიშვნა. მართლმადიდებელნი [illegible]

§ 2. საქართველოს ეკლესიის მიზანია [illegible] „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს" (მთ. V, 48).

§ 3. საქართველოს ეკლესია [illegible]

§ 4. საქართველოს ეკლესია [illegible]

**მართვა-გამგეობა**

§ 5. მართვა-გამგეობის მხრით საქართველოს ეკლესია [illegible]

§ 6. საქართველოს ეკლესია იყოფა შემდეგ ეპარქიებად: ა) მცხეთისა [illegible]

[illegible]

**ცენტრალური გამგეობა**

§ 7. [illegible]

§ 8. [illegible]

§ 9. [illegible]

§ 10. [illegible]

ვა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საკათალიკოზო საბჭო წარმოუდგენს; დ) არჩევა კათალიკოზისა, საკათალიკოზო საბჭოს და საკათალიკოზო სამართლის წევრებისა და ამათი კანდიდატებისა; ე) ახალი ეპარქიების გახსნა ან არსებულ ეპარქიათა საზღვრების გადამიჯვნა და კათედრების აღდგენა ან დაარსება; ვ) ზრუნვა სასულიერო სასწავლებელთა დაარსებისა და ნივთიერად უზრუნველყოფისათვის.

§ 11. საეკლესიო კრების აღმასრულებელი მუდმივი ორგანო არის საკათალიკოზო საბჭო. საკათალიკოზო საბჭო შესდგება რვა წევრისაგან ოთხი სასულიეროა (ორი მღვდელი, ერთი მთავარდიაკონთა ან წიგნის მკითხველთა წარმომადგენელი, ერთი მონაზონთა წარმომადგენელი) და ოთხი საერო. საბჭოს წევრს საეროთაგანს უნდა ჰქონდეს მიღებული მაღალი განათლება, ხოლო კრებულთაგანს არა უმცირეს საშუალო განათლებისა. საბჭოს წევრნი აღირჩევიან საეკლესიო კრების მიერ ექვსი წლის ვადით; ყოველი სამი წლის განმავლობაში ხდება მათი გამოცვლა შემდეგი წესით: პირველად საბჭოდან გადის ოთხი წევრი (ორი სასულიერო და ორი საერო) წილის ყრით, შემდეგში კი—არჩევის უხუცესობის კვალობაზე. საბჭოს თავმჯდომარეობს კათალიკოზ-პატრიარქი, ხოლო როცა კათალიკოზი ავადაა ან სხვაგან სადმე, მისი მოადგილე. დასახელებული რვა წევრის გარდა საბჭოში გადამწყვეტის ხმით მონაწილეობას იღებს ორ-ორი მღვდელმთავარი, რომელნიც გამოიწვევიან ეპარქიებიდან რიგრიგობით ოთხ-ოთხი თვის ვადით. საბჭოს სხდომის დღეებსა და საქმეების განხილვის წესრიგს აწესებს თავმჯდომარე, სხდომა კვირაში ორჯერ მაინც უნდა მოხდეს და ის კანონიერია, თუ შვიდი წევრი მაინც დაესწრება თავმჯდომარითურთ. საბჭოში საკითხი უბრალო ხმის უმეტესობით სწყდება; ხოლო, როცა ხმები თანაბრად იყოფა, მაშინ ის აზრი უპირატესობს, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა. ის დადგენილება, რომლის თანახმა თავმჯდომარე არაა, უკანასკნელის სურვილით შეიძლება საეკლესიო კრებას წარედგინოს, თუმცა ამით მისი სისრულეში მოყვანა არ ჩერდება.

§ 12. საკათალიკოზო საბჭოს სამსახურის მხრით ექვემდებარებიან როგორც მღვდელმთავარნი და სასულიერო პირნი, აგრეთვე საეკლესიო დაწესებულებანი და მათში მოსამსახურენი, ხოლო სარწმუნოებისა და საეკლესიო დისციპლინის მხრით ყოველი წევრი საქართველოს ეკლესიისა. საბჭოს დადგენილებანი სავალდებულოა ყველა დაწესებულებათა და ეკლესიის წევრთათვის, იმათი შეცვლა შეუძლიან მხოლოდ საბჭოს და საეკლესიო კრებას. საკათალიკოზო საბჭო თავისი ფუნქციების აღსრულების დროს ხელმძღვანელობს საღმრთო წერილით, მსოფლიო და ადგილობრივ (მათ შორის საქართველოს ეკლესიის) კრებათა დადგენილებით და სახელმწიფოში მოქმედ კანონმდებლობით. საკათალიკოზო საბჭოს აქვს დამხმარე ორგანოები: კანცელარია, სამოსწავლო კომიტეტი, სამეურნეო გამგეობა და სამონასტრო გამგეობა; ამათ გარდა საბჭოს ჰყავს იურისკონსულტი.

§ 13. საკათალიკოზო საბჭოს ექვემდებარება შემდეგი საქმეები: ა) ზრუნვა საეკლესიო სწავლა-მოძღვრებისა და და ქართული ღვთისმეტყველების აყვავებისა და შეურყვნელად დაცვისათვის; ბ) ზრუნვა სამწყსოთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წარმატებისათვის; გ) ზრუნვა სამწყსოთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წარმატებისათვის; გ) საეკლესიო კანონთა და საქართველოს საეკლესიო კრების დადგენილებათა განმარტება; როცა საჭიროება მოითხოვს, ახალი კანონპროექტის შემუშავება და საეპარქიო საბჭოებთან შეთანხმებით, დროებით, მორიგ საეკლესიო კრებამდე, ცხოვრებაში გატარება; კრებას უფლება აქვს დაადასტუროს ან უარჰყოს ამ წესით ცხოვრებაში გატარებული კანონი; დ) თვალყურის დევნება მის ქვეით მდგომ პირთა და დაწესებულებათა მოქმედებისა; ე) ზრუნვა მონასტერთა, ტაძართა, საქველმოქმედო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა კეთილ-მოწყობისა და წარმატებისათვის; ვ) წინასწარი განხილვა და სათანადო დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობის აღძრვა მონასტერთა, ეკლესიათა, საქველ-მოქმედო და სამოსწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობის აღძრვა მონასტერთა, ეკლესიათა, საქველმოქმედო და სამოსწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსების შესახებ; ზ) სათანადო სახელმწიფო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა წინაშე საეკლესიო საქმეთა გამო შუამდგომლობის აღძრვა; ც) ზრუნვა სამღვდელოების ქონებრივად უზრუნველ-ყოფისათვის; თ) ზრუნვა სამსახურიდან გასულ სამღვდელო პირთა, საეკლესიო მოხელეთა და სამღვდელოების ქვრივობოლთათვის; ი) ზრუნვა საღმრთო და საეკლესიო-სადვთისმსახურო წიგნთა შედგენისა, შესწორებისა და გამოცემისათვის; ია) მღვდელმთავართა არჩევნების დამტკიცება და მათი სამსახურიდან განთავისუფლება; იბ) რევიზიის დანიშვნა სხვა და სხვა საჭიროებათა და შემთხვევათა გამო; იგ) ეპარქიებისა და საეკლესიო დაწესებულებათა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება; იდ) საეპარქიო და სხვა და სხვა საეკლესიო დაწესებულებათა წლიური ანგარიშების განხილვა და მთელი საკათალიკოზოს წლიური ანგარიშის შედგენა კრებისათვის წარსადგენად; იე) საეკლესიო უძრავ ქონებათა შეძენა განთვისების დამტკიცება; ივ) საბოლოოდ გარჩევა და დამტკიცება საეპარქიო საბჭოთაგან შემოსულ საქმეთა; იზ) ბერობისა და სასულიერო წოდებისაგან განთავისუფლების საბოლოოდ დადასტურება; იც) განქორწინების პროცესის საბოლოოდ განხილვა და დადასტურება; ით) ნებართვა საკათალიკოზოში ნებაყოფლობითი შეწირულების საქველმოქმედო მიზნით შეკრებისა; კ) სხვა ავტოკეფალ ეკლესიებთან ურთიერთობის დაჭერა კა) წინასწარი მუშაობა და განკარგულება სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მოწვევისათვის და აგრეთვე ამ კრებაზე განსახილველ საკითხთა წინასწარი დამუშავება და მასალების შეკრება კბ) ხელმძღვანელობა კათალიკოზის არჩევნებისა; კგ) მიცემა დროებითის თავისუფლებისა, ერთ თვეზე მეტი ვადით, ეპისკოპოსებისა საკათალიკოზო საბჭოსა და საკათალიკოზო სასამართლოს წევრებისა და საბჭოს დამხმარე ორგანოთა გამგეთათვის; კზ) განხილვა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელნიც საეპარქიო საბჭოებიდან გადმოეცემა.

§ 14. კათალიკოზი, საჭეთმპყრობელად ეკლესიისა ითვლება, მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი, რომელსაც ირჩევს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება როგორც სასულიერო, ისე საერო პირთაგან.

შენიშვნა. საკათალიკოზო კანდიდატისათვის ბერობის მიღება სავალდებულო არაა. ფიზიკურისა და ზნეობრივის მხრით იგი უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონთა მოთხოვნილებას და უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი საზოგადო განათლება და შესაფერი სადვთისმეტყველო მომზადება.

§ 15. კათალიკოზ პატრიარქი არის „პირველი თანასწორთა შორის" (მოციქ. კან. 34) და მისი კომპეტენცია ასეთია: ა) ის თავმჯდომარეობს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას, საკათალიკოზო საბჭოს და საკათალიკოზო სასამართლოს; ბ) მწყემსთმთავრულად მიმოიხილავს საკათალიკოზოს ეპარქიებს და ხელმძღვანელობას უწევს ეპისკოპოსებს საეპარქიო მართვა გამგეობაში; გ) მის სახელს იხსენიებენ წირვა-ლოცვის დროს საკათალიკოზოს მღვდელთმთავარნი და სამღვდელოება; დ) იგი აძლევს დროებით თავისუფლებას: ეპისკოპოსებს, საკათალიკოზო საბჭოსა და სასამართლოს წევრების და საბჭოს დამხმარე ორგანოთა გამგეებს არა უმეტეს ერთის თვისა, ხოლო საეპარქიო მართვა-გამგეობის ორგანოთა და სასამართლოს თავმჯდომარეებს და წევრებს ორი თვიდან და მეტის. ე) აგრეთვე აძლევს დათხოვნითს სიგელებს იმ ეპისკოპოსებს, რომელნიც ეპარქიიდან დროებით სხვაგან სადმე მიდიან; ვ) როგორც თავმჯდომარე საკათალიკოზო სასამართლოსი, იგი იღებს საჩივარს ეპისკოპოსთა, საკათალიკოზო საბჭოს წევრთა, საეპარქიო კრებათა და საეპარქიო დაწესებულებათა (საბჭოსა და სასამართლოს) შესახებ და აძლევს ამ საჩივრებს კანონიერ მსვლელობას; ზ) როგორც თავმჯდომარე საკათალიკოზო საბჭოსი, ის ზრუნავს ეპისკოპოსო კანდიდატურის გამორკვევასა და დასახელებას; ც) საჭირო შემთხვევაში, საბჭოს მინდობილობით, ის აძლევს რჩევას და მწყემსთმთავრულ შენიშვნას ეპისკოპოსებსა და საეპარქიო მართვა-გამგეობის ორგანოთა და სასამართლოს თავმჯდომარეებსა და წევრებს; თ) საბჭოსავე მინდობილობით იმას მიწერ-მოწერა აქვს სხვა ავტოკეფალ ეკლესიებთან და სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებებთან.

# კორესპონდენცია

## დუშეთიდან

**საქონლის ჭირი.** ჯერ ისევ შარშან მუსრი გაავლო საქონელს ჭირმა, არ გადარჩა ოჯახი, რომ სამი და ოთხი სული სამუშაო თუ სხვა საყოლი საქონელი არ ემსხვერპლა. მთელს მაზრაში მოდებულ ჭირთან საბრძოლველად, გარდა იმ ორ ბეითალისა, რომელიც მაზრაში არიან დანიშნული, ხოლო ფაქტიურად კი იქ ერთის მეტი არ იმყოფება, ოთხი ექიმი იყო დანიშნული, მაგრამ ექიმი უწამლოდ არ ექიმობს, ჩვენი ბეითლები კი უწამლოდ ექიმობდნენ, შარშანდელი ასაცრელი წამალი „სივოროტკა" წყლიანი ყოფილა, რის გამოც ყველა ნაწამლი საქონელი იხოცებოდა—თქმით ამაზედ არავინ ამბობდა, რასაკვირველია ხელს არ აძლევდა, ვინაიდგან ესენი ჯეროვან $^0/_0$ გარდა სამგზავროსაც იღებდნენ, თვითონ ჯიბეს ივსებდნენ და ხალხის დახოცილ საქონელს კი თითქმის არაფრად აფასებდნენ. რაც რევოლუციის დროს მოხსენდა დუშეთის მაზრის კომისარს გლეხთა ყრილობაზედ გამოტანილი, მაგრამ დარჩა „ხმათა მღაღადებელთა უდაბნოსა შინა" ამ დროს დაშნაკცაკანმა თევზიევმა ს.-დემოკრატათ აღვიარა თავი და წავიდა შორს ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში გუდიევთან ერთად სამუშაოდ.

საქონლის ასაცრელი წამალი „სივოროტკა" მზადდება განჯის მაზრაში ზურნა დაბის საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველ სადგურზედ, რომლის გამგეც იყო ლიტვილელი ბეითალი ლუსი, დღეს იგი, რომელზედაც თევზიევმა მოთხრა წყალი გაურივნა წამალშიო მარტო გადაყენებული იქმნა თანამდებობიდან, სადგური გარდაეცა ბეითალთა კოლეგიას ფარცვანიძის ზედამხედველობით, ხოლო ერთი ბეითალი, რომელმაც კარგად იცოდა წამლის უმოქმედობა, დანიშნულ იქმნა თბილისის გუბერნიის სამოქალაქო საბეითალო უწყების მართველობაში წევრათ. დღეს დუშეთის მაზრა კიდევ განიცდის უბედურობას, მთელს მაზრაში მძვინვარებს საქონლის ჭირი. პატრონი კი არ არის. ერთი მცხეთის ექიმი, ისიც უწამლო ვერ გასწვდება მაზრას, წამალი კი დუშეთში დაკეტილ ოთახში მოუმწყვდევია ბ. თევზიევს. დროა ბოლო მოეღოს ასეთს გულუბრყვილობას, სოფელს შველა უნდა, თორემ იქნებ [illegible] მივიდეს ხალხი, რომ არამც თუ საჭმელ ხორცის მოწოდება ვერ შესძლოს, არამედ სამუდამოდ დაჰკარგოს ადგილ მამული უსაქონლოდ და გარედ გამოვიდეს ლუკმა პურის საშოვნელად.

ძ. კ—ძე.

რედაქტორი [illegible]

# კალენდარი

## კვირა ენკენისთვის 10

კვირა 16. ხმა 7.

**ართვ.** წმ. მოწ. მინადორა და ნიმფოდორასი.

**კათოლ.** წმ. ნიკოლოზისა და ქალწულ მარიამისა.

**სომეხ.** ჟღეზის ღამე სურაბ ხაჩისა.

**მაჰმად.** ექ-შამბე 6 რ. ზულგიჯა 1335 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** იერიშონ 7 რ. თიშრისა 5678 ქვეყნ. შექმნ.

## ორშაბათი ენკენისთვის 11

**ქართვ.** ღირს. დედისა ჩვენისა თეოდორე ალექსანდრიელისა; წმ. იასისა.

**კათოლ.** გილიარისა.

**მაჰმად.** დუ-შამბე 7 რიც ზულგიჯა 1335 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** იომშენი 8 რ. თიშრისა 5678 წ. ქვ. შექმ.

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მოძრაობა**

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისაკენ | საფ. | № 5, | 11.32 | დილ. |
| " | სამგზ. | № 9, | 11.28 | საღ. |
| ბორჯომისაკენ | სამგზ. | № 19, | 8. 17 | დღ. |
| " | " | № 17, | 3.19 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.51 | დილ. |
| " | საფ. | № 4, | 8.46 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 12.15 | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 8.28 | დილ. |
| " | საფ. | № 4, | 7.41 | საღ. |
| ბორჯ.-მიხაილ. | სამგზ. | № 20, | 7.27 | დილ. |
| " | სამგზ. | № 18, | 9.50 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 8, | 10.26 | დილ. |
| " | ჩქარ. | № 5, | 10.20 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 8 [illegible], | 7.53 | დილ. |

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# კომერციულ ცოდნათა

კურსები

# ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—17

# სააკადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოხსოვარული ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელანჯე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. დღეხულობს 10—12 ს. ყოველდღე.
ვეიხაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპახოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. —2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავ[illegible]. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საზევიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა დ საზებიო ავად. დღეხულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტრიოცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—61

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 2 მანეთი. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვარკველია.